رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

كَيْفِيَّةُ صَلاَةِ النَّبِيِّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ

جورجي

ქართული

მოციქული მუჰამმადის ლოცვის აღწერა

პატივცემული შეიხი
აბდულ აზიიზ იბნ აბდულლაჰ ბინ ბააზ

ⓒ جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات ، ١٤٤٧هـ

بن باز ، عبدالعزيز
كيفية صلاة النبي صلى الله عليه وسلم - جورجي. / بن باز ، عبدالعزيز - ط١. .- الرياض ، ١٤٤٧هـ
٢٧ ص ؛ ..سم

رقم الإيداع: ١٤٤٧/٩٤١٤
ردمك: ٩٧٨-٦٠٣-٨٥٩١-٩٤-٩

كَيْفِيَّةُ صَلَاةِ النَّبِيِّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ

მოციქული მუჰამმადის ლოცვის აღწერა

لِفَضِيلَةِ الشَّيْخِ العَلَّامَةِ
عَبْدِ العَزِيزِ بْنِ عَبْدِ اللَّهِ بْنِ بَازٍ
غَفَرَ اللَّهُ لَهُ وَلِوَالِدَيْهِ وَلِلْمُسْلِمِينَ

პატივცემული შეიხი

აბდულ აზიიზ იბნ აბდულლაჰ ბინ ბააზ

بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ

მოციქული მუჰამმადის ლოცვის აღწერა

პატივცემული შეიხი
აბდულ აზიიზ იბნ აბდულლაჰ ბინ ბაზ

სახელითა ალლაჰისა მოწყალისა, შემწყალებლისა

ქება დიდება ერთადერთ ალლაჰს, ლოცვა და მშვიდობა მის მონას და შუამავალს და ჩვენს მოციქულ მუჰამმადს, მის ოჯახეულობას და საჰაბებს, ამის შემდეგ:

ეს არის მოკლე სიტყვები მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვის აღწერაზე, რომლებიც მსურდა წარმომეჩინა ყველა მუსლიმი მამაკაცისა და ქალისთვის, რათა ვინც ამას წაიკითხავს, ეცადოს მიბაძოს მას ამ საკითხში, შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებზე დაყრდნობით:

(صَلُّوا كَمَا رَأَيْتُمُونِي أُصَلِّي).

«ილოცეთ ისე, როგორც მე მხედავთ, რომ ვლოცულობ».[1] და მკითხველისთვის ამის

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (605).

განმარტება ასეთია:

1- სრულყოფილად იღებს აბდესს, რაც ნიშნავს, რომ აკეთებს განბანვას ისე, როგორც ალლაჰმა უბრძანა მას, უზენაესის სიტყვებიდან გამომდინარე:

﴿يَـٰٓأَيُّهَا ٱلَّذِينَ ءَامَنُوٓاْ إِذَا قُمْتُمْ إِلَى ٱلصَّلَوٰةِ فَٱغْسِلُواْ وُجُوهَكُمْ وَأَيْدِيَكُمْ إِلَى ٱلْمَرَافِقِ وَٱمْسَحُواْ بِرُءُوسِكُمْ وَأَرْجُلَكُمْ إِلَى ٱلْكَعْبَيْنِ...﴾.

«ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა წამოდგებით სალოცავად, დაიბანეთ სახეები და ხელები იდაყვებამდე, თავზე სველი ხელი გადაისვით და დაიბანეთ ფეხები კოჭების ჩათვლით» [ალ-მაიდა: 6] აიათი.

მიციქულის თქმით (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

(لَا تُقْبَلُ صَلَاةٌ بِغَيْرِ طُهُورٍ).

«არ მიიღება ლოცვა განწმენდის გარეშე».[1]

ასევე მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებით იმ კაცის მიმართ, ვინც არასწორად ასრულებდა ლოცვას:

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (224)

(إِذَا قُمْتَ إِلَى الصَّلَاةِ، فَأَسْبِغِ الْوُضُوءَ).

«როცა დგები ლოცვისთვის სრულყოფილად აიღე აბდესი».[1]

2- მლოცველი მთელი სხეულით მიემართება ყიბლასკენ, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, და გულში განიზრახავს იმ ლოცვის შესრულებას, რომლის აღვლენაც სურს, იქნება ეს სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ლოცვა. განზრახვის ენით თქმა დაუშვებელია, რადგან ეს არ არის დაწესებული, არამედ წარმოადგენს ბიდა'ს (სიახლეს რელიგიაში), რადგან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) არ ამბობდნენ განზრახვას ენით. თუ ის იმამია ან მარტო ლოცულობს, იდებს წინ ბარიერს, რომლისკენაც ლოცულობს. ყიბლასკენ მიქცევა ლოცვის აუცილებელი პირობაა, გარდა ზოგიერთი ცნობილი გამონაკლისისა, რომლებიც განხილულია სწავლულთა წიგნებში.

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (5782).

3- აკეთებს თაქბირათულ-იჰრამს (ალლაჰუ აქბარ) და ამ დროს თვალებით უყურებს იმ ადგილს, სადაც საჯდა უნდა შეასრულოს.

4- თაქბირის თქმის დროს ხელებს სწევს მხრების დონეზე ან ყურების სიმაღლემდე.

5- ხელებს აწყობს მკერდზე, მარჯვენა ხელს ათავსებს მარცხენა ხელზე, მაჯასა და წინამხარზე, რადგან ეს მტკიცედ გადმოცემულია მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

6- სუნნა არის, რომ წარმოთქვას გახსნითი ვედრება, შემდეგნაირად:

(اللَّهُمَّ بَاعِدْ بَيْنِي وبيْنَ خَطَايَايَ، كَمَا بَاعَدْتَ بيْنَ المَشْرِقِ والمَغْرِبِ، اللَّهُمَّ نَقِّنِي مِنَ الخَطَايَا كما يُنَقَّى الثَّوْبُ الأبْيَضُ مِنَ الدَّنَسِ، اللَّهُمَّ اغْسِلْ خَطَايَايَ بالمَاءِ والثَّلْجِ والبَرَدِ).

«ო ალლაჰ, დამაშორე მე ჩემს ცოდვებს ისე, როგორც დააშორე ერთმანეთს აღმოსავლეთი და დასავლეთი; ო ალლაჰ, გამწმინდე ჩემი ცოდვებისგან, როგორც თეთრი სამოსი იწმინდება ჭუჭყისგან; ო ალლაჰ, განმბანე ჩემი

ცოდვებისგან წყლით, თოვლით და სეტყვით».[1]

და თუ მოისურვებს, ამის ნაცვლად შეუძლია თქვას:

(سُبْحَانَكَ اللَّهُمَّ وبِحَمْدِكَ، وَتَبَارَكَ اسْمُكَ، وَتَعَالَى جَدُّكَ، ولَا إِلَهَ غَيْرُكَ).

«სუბჰაანაქა ლლაჰუმმა ვა ბიჰამდიქ, ვა თაბაარაქა სმუქ, ვა თა'აალაა ჯადდუქ, ვა ლაა ილააჰა ღაირუქ (ქება და დიდება შენ, ღმერთო, დალოცვილია სახელი შენი, ამაღლებულია დიდება შენი, არ არსებობს ღმერთი შენს გარდა».[2]

და თუ სხვა რომელიმე ვედრებით გახსნის ან წაიკითხავს იმ დუათაგან, რაც მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მტკიცედ არის გადმოცემული, არ არის პრობლემა. უპირატესია, რომ ზოგჯერ ერთი დუა თქვას, ზოგჯერ კი მეორე, რადგან ეს უფრო სრულყოფილია მიბაძვაში. შემდეგ ამბობს: შევეფარები ალლაჰს ქვით ჩასაქოლი სატანისგან (აუზუბილლაჰი მინა შშაიტაანი რრაჯიიმ), შემდეგ ალლაჰის სახელით მოწყალისა და შემწყალებლის (ბისმილლაჰი რრაჰმაანი

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ ნომრით (744) და მუსლიმის მიერ ნომრით (598).

[2] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (399).

რრააჰიმ) და კითხულობს სურა ალ-ფაათიჰას, რადგან შუამავლის თქმით:

(لَا صَلَاةَ لِمَنْ لَمْ يَقْرَأْ بِفَاتِحَةِ الكِتَابِ).

«არ არის ლოცვა იმისი, ვინც არ წაიკითხა სურა ალ-ფათიჰა».[1] და ფათიჰას კითხვის დასრულების შემდეგ ხმამაღლა ამბობს -აამიინ - ხმამაღლად საკითხავ ლოცვებში, და ჩურჩულით ჩუმ ლოცვებში. შემდეგ კითხულობს რაც შეუძლია ყურანიდან. უპირატესია, რომ ფათიჰას შემდეგ შუადღის, ნაშუადღევის და ღამის ლოცვებში წაიკითხოს სურები „მუფასსალ" საშუალო ნაწილიდან, ხოლო დილის ლოცვაში მისი გრძელი ნაწილიდან. რაც შეეხება საღამოს ლოცვას ზოგჯერ წაიკითხოს გრძელი სურებიდან, ზოგჯერ კი მოკლედან, როგორც ეს გადმოცემულია სხვადასხვა ჰადისებში.

7- მლოცველი ამბობს თაქბირს ალლაჰუ აქბარ და ამ დროს მოიხრება წელში, ხელებს სწევს მხრების ან ყურების დონემდე, ის ასწორებს თავს ისე, რომ თავი და ზურგი ერთ ხაზზე იყოს, ხელებს ადებს მუხლებზე, თითებს

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (756).

კი აშორებს ერთმანეთისგან. მოხრის დროს უნდა იყოს დამშვიდებულ მდგომარეობაში და ამბობს: სუბჰანა რაბბია ლ-'აზიმ, უპირატესია, რომ ეს გაიმეოროს სამჯერ ან მეტჯერ. ასევე სასურველია, რომ მასთან ერთად თქვას:

(سُبْحَانَكَ اللهُمَّ وَبِحَمْدِكَ، اللهُمَّ اغْفِرْ لِي).

«სუბჰანაქა ლლაჰუმმა ვა ბიჰამდიქ, ალლაჰუმმა ღფირ ლიი»[1]

8- მლოცველი თავს წევს რუქუ'დან და ხელებს წევს მხრებამდე ან ყურებამდე, და ამბობს: (სამი'ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ) თუ ის იმამია ან მარტო ლოცულობს, დგომის დროს ამბობს:

(رَبَّنَا ولَكَ الحَمْدُ حَمْدًا كَثِيرًا طَيِّبًا مُبَارَكًا فِيهِ مِلْءَ السَّمَواتِ ومِلْءَ الأرضِ، ومِلْءَ ما شِئْتَ مِن شيءٍ بَعدُ).

«რაბბანა ვა ლაქალ-ჰამდ, ჰამდან ქასიირან ტაიიბან მუბარაქან ფიიჰი, მილა-სსამავათი ვა მილ'ალ-არდი, ვა მილ'ა მაში'თა მინ შეი'ინ ბა'დ (ღმერთო ჩვენო, შენ გეკუთვნის ქება უამრავი, კეთილი და დიდებული ქება, რომელიც ავსებს

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ნომრით (817) და მუსლიმის მიერ, ნომრით (484).

ცას და მიწას და ყველაფერს, რასაც შენ ისურვებ ამის შემდეგ».[1]

რაც შეეხება იმამის უკან მდგომ მლოცველს, ის რუქუ'დან წამოდგომისას ამბობს: რაბბანა ვა ლაქალ-ჰამდ და განაგრძობს მანამდე ნათქვამით. თუ კი ვინმე მათგანი — ანუ იმამი, ან მარტო მლოცველი — ამ ქებას დაამატებს (დამატებით დუას ან ქების სიტყვებს), ეს ნებადართულია.

(أَهْلَ الثَّنَاءِ والْمجْدِ، أَحَقُّ مَا قَالَ العَبْدُ، وكُلُّنَا لَكَ عَبْدٌ: اللَّهُمَّ لَا مَانِعَ لِمَا أَعْطَيْتَ، ولَا مُعْطِيَ لِمَا مَنَعْتَ، ولَا يَنْفَعُ ذَا الجَدِّ مِنْكَ الجَدُّ).

«ო ღირსეულო ქებისა და დიდების პატრონო! ეს არის უდიდესი სიტყვა, რაც მონამ შეიძლება თქვას, და ჩვენ ყველანი შენი მონები ვართ. ო ალლაჰ, არ არსებობს ძალა, რომ შეაჩეროს ის, რაც შენ მიანიჭე, და არავის შეუძლია მიანიჭოს ის, რაც შენ შეაკავე, და ძალაუფლება და ბრწყინვალება ვერ არგებს მას, ვის წინააღმდეგაც გსურს“. /აჰლუს-სანააი ვალ-მაჯდი, აჰაყყუ მა ყაალალ-‘აბდუ, ვაქულლუნა ლაქა ‘აბდუნ: ალლაჰუმმა, ლა მაანი'ა ლიმაა

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ნომრით (711) და მუსლიმის მიერ, ნომრით (598).

ა'ტაითა, ვალა მუ'ტია ლიმაა მანა'თა, ვალა იანფა'უ ზალ-ჯადდი მინქა ალ-ჯადდუ/»[1] და ის კარგია, რადგან ეს მტკიცედ არის გადმოცემული შუამავლისგან.

სასურველია, რომ თითოეულმა მათგანმა, იგულისხმება იმამი, ასევე იმამის უკან მლოცველი და მარტო მლოცველი დადგომისას (რუქუ'იდან წამოდგომის შემდეგ) ხელები დაიდოს მკერდზე, როგორც აკეთებდა რუქუ'ზე წასვლამდე დგომისას. ეს იმით არის დადასტურებული, რაც შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადმოცემულია ვაილ ბინ ჰუჯრისა და სახლ ბინ სა'დის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ჰადისებშია.

9- მლოცველი თაქბირით ჩადის სუჯუდში, ჯერ ადებს მუხლებს, შემდეგ კი ხელებს, თუ ამის შესაძლებლობა აქვს. თუ გაუჭირდება, ჯერ ხელებს დაადებს, შემდეგ მუხლებს. სუჯუდში უნდა იყოს ისე, რომ თითებით (და ფეხებით)

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (477).

მიმართული იყოს ყიბლასკენ, ხელის თითები შეკრული და გაშლილი. სუჯუდი სრულდება შვიდი ორგანოთი: შუბლი და ცხვირი, ორივე ხელი, ორივე მუხლი, და ფეხის თითების ბალიშები. სუჯუდში ამბობს: „სუბჰანა რაბბია ლ-ა'ლა", (უწმინდესია ჩემი უზენაესი ღმერთი).

სუნნაა, რომ ეს გაიმეოროს სამჯერ ან მეტჯერ. ასევე სასურველია, რომ თქვას:

(سُبْحانَكَ اللَّهُمَّ رَبَّنا وبِحَمْدِكَ، اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي).

«სუბჰანაქა ლლაჰუმმა ვა ბიჰამდიქ, ალლაჰუმმა ღფირ ლიი». გაახშიროს ვედრებიდან, ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, თქმით:

(أَمَّا الرُّكُوعُ، فَعَظِّمُوا فِيهِ الرَّبَّ، وَأَمَّا السُّجُودُ، فَاجْتَهِدُوا فِي الدُّعَاءِ، فَقَمِنٌ أَنْ يُسْتَجَابَ لَكُمْ).

«რაც შეეხება რუქუ'ს ადიდეთ მასში თქვენი ღმერთი, ხოლო რაც შეეხება სუჯუდს გაახშირეთ დუა მასში გულმოდგინედ, რადგან დიდი ალბათობაა, რომ თქვენს ვედრებას პასუხი გაეცეს».[1]

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (479).

და სთხოვოს თავის უფალს ამ ქვეყნისა და საიქიოს სიკეთე. იქნებოდა ეს ლოცვა სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი, მლოცველი ლოცვისას მოაშორებს მკლავებს გვერდებიდან, მუცელს ბარძაყებიდან, და ბარძაყებს — წვივებიდან. ხელის წინა ნაწილებს (წინამხრებს) არ დაადებს მიწაზე, ამის საფუძველია, მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვები:

(اعْتَدِلُوا فِي السُّجُودِ، ولَا يَبْسُطْ أَحَدُكُمْ ذِرَاعَيْهِ انْبِسَاطَ الكَلْبِ).

«იყავით სუჯუდში ზომიერები და თქვენგანმა არავინ არ გაშალოს თავისი ხელები ძაღლივით».[1]

10- მლოცველი თაქბირით სწევს თავს სუჯუდიდან და ჯდება მარცხენა ფეხზე, ხოლო მარჯვენა ფეხის ტერფი წამოწეული აქვს ვერტიკალურად. ხელებს აწყობს ბარძაყებზე და მუხლებზე. ამ მდგომარეობაში ის წარმოთქვამს:

(رَبِّ اغْفِرْ لِي وَارْحَمْنِي وَاهْدِنِي وَارْزُقْنِي وَعَافِنِي وَاجْبُرْنِي).

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ნომრით (788) და მუსლიმის მიერ, ნომრით (493).

«ღმერთო ჩემო, მომიტევე, შემიწყალე, დამადგინე ჭეშმარიტ გზაზე, მომმადლე საზრდო, მომანიჭე ჯანმრთელობა და დამეხმარე). რაბბი ღფირ ლიი ვარჰამნიი ვაჰდინიი ვარზუყნიი ვა'აფინიი ვაჯბურნიი»[1] და ამ ჯდომის დროს უნდა იყოს დამშვიდებულ მდგომარეობაში.

11- მლოცველი თაქბირით ჩადის მეორე სუჯუდში და იქ იქცევა ისე, როგორც მოიქცა პირველ სუჯუდში.

12- მლოცველი თაქბირით წევს თავს მეორე სუჯუდიდან და ჯდება მცირეხნიანი ჯდომით ისე, როგორც სუჯუდებს შორის ჯდება. ამას ეწოდება "დასვენების ჯდომა", და ის სუნნაა. თუ ვინმე მას გამოტოვებს — პრობლემა არ არის. ამ ჯდომაში არ არსებობს განსაზღვრული ზიქრი ან ვედრება. შემდეგ მლოცველი დგება მეორე რაქათზე თუ შეუძლია, დაყრდნობით მუხლებზე, ხოლო თუ გაუჭირდება დაეყრდნოს მიწას. მეორე რაქათში კითხულობს სუურათ

[1] გადმოცემულია ათ-თირმიზის მიერ, №284; აბუ დაუდის მიერ, ნომრით 850; და იბნ მაჯას მიერ, ნომრით 898.

ალ-ფაათიჰას და შემდეგ რასაც შეძლებს ყურანიდან, და განაგრძობს ისე, როგორც მოიქცა პირველ რაქათში.

13- თუ ლოცვა ორ-რაქათიანია როგორიცაა ფაჯრის, ჯუმას ან ორი დღესასწაულის ლოცვები, მაშინ მლოცველი მეორე სუჯუდიდან წამოსვლის შემდეგ ჯდება ისე, რომ მარჯვენა ფეხი წამოწეული აქვს, ხოლო მარცხენა ფეხი ჰორიზონტალურად და მასზე ზის. მარჯვენა ხელს ადებს მარჯვენა ბარძაყსა და მუხლზე, თითებს ყველა თითს შეკრავს გარდა საჩვენებლისა, და საჩვენებელი თითით მიუთითებს თავჰიდზე (ერთღმერთიანობაზე). თუ კი მარჯვენა ხელის ნეკა და არათითს შეკრავს, ცერა თითით და შუა თითით წრეს შექმნის, ხოლო საჩვენებლით მიუთითებს — ესეც კარგია, რადგან ორივე ფორმა მტკიცედ გადმოცემულია შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), უპირატესია, რომ ზოგჯერ ერთი ფორმით მოიქცეს, ზოგჯერ მეორე ფორმით. მარცხენა ხელს კი ადებს

მარცხენა ბარძაყსა და მუხლზე. შემდეგ ამ ჯდომაში კითხულობს თაშაჰჰუდს, რომელიც ასეთია:

(التَّحِيَّاتُ للهِ والصَّلَوَاتُ والطَّيِّبَاتُ، السَّلَامُ عَلَيْكَ أَيُّها النَّبِيُّ ورَحْمَةُ الله وبَرَكَاتُهُ، السَّلَامُ عَلَيْنَا وَعَلَى عِبَادِ الله الصَّالِحِينَ، أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ ورَسولُهُ).

«ათთაჰიათუ ლილლაჰი ვა სალაავაათი ვა ტაიიბაათუ, ასსალაამუ 'ალაიქა აიუჰა ნნაბიყუ ვა რაჰმათულლაჰი ვა ბარაქაათუჰ, ასსალაამუ 'ალაინაა ვა 'ალაა 'იბაადი ლლაჰი სსაალიჰიინ, აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ ვა აშჰადუ ანნა მუჰამმადან 'აბდუჰუ ვა რასუულუჰ)

მნიშვნელობა: (მისალმებანი, ლოცვა და ყოველი სიკეთე მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ალლაჰის მშვიდობა, წყალობა და მისი ბარაქა შენზე იყოს ალლაჰის შუამავალო. მშვიდობა ჩვენ და ალლაჰის ყველა მართალ მსახურს. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია» შემდეგ იტყვის:

(اللَّهُمَّ صَلِّ علَى مُحَمَّدٍ وعلَى آلِ مُحَمَّدٍ، كَمَا صَلَّيْتَ علَى إِبْرَاهِيمَ وعلَى آلِ إِبْرَاهِيمَ؛ إِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ، وَبَارِكْ علَى مُحَمَّدٍ وعلَى آلِ مُحَمَّدٍ، كما بَارَكْتَ علَى

إِبْرَاهِيمَ وعلَى آلِ إِبْرَاهِيمَ؛ إِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ).

«ღმერთო დალოცე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი, ისე როგორც დალოცე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი, ჭეშმარიტად შენ ქებული და დიდებული ხარ, ღმერთო აკურთხე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი, ისე როგორც აკურთხე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი, ჭეშმარიტად შენ ქებული და დიდებული ხარ».

(ალლაჰუმმა სალლი 'ალაა მუჰამმად ვა 'ალაა აალი მუჰამმად ქამაა სალაითა 'ალაა იბრაჰიიმა ვა 'ალაა აალი იბრააჰიიმა ინნაქა ჰამიიდუნ მაჯიიდ, ალლაჰუმმა ბაარიქ 'ალაა მუჰამმადინ ვა 'ალაა აალი მუჰამმადინ ქამაა ბაარაქთა 'ალაა იბრააჰიიმა ვა 'ალაა აალი იბრააჰიიმა ინნაქა ჰამიიდუნ მაჯიიდ)[1]

ალლაჰს შეეფარება ოთხი რამისგან და იტყვის:

(اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِن عَذَابِ جَهَنَّمَ، وَمِنْ عَذَابِ القَبْرِ، وَمِنْ فِتْنَةِ المَحْيَا وَالْمَمَاتِ، وَمِنْ شَرِّ فِتْنَةِ المَسِيحِ الدَّجَّالِ).

«ჩემო ღმერთო, მე მოგეკედლები შენ ჯოჯოხეთის სასჯელისგან, საფლავის

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (797) და მუსლიმის მიერ, ნომრით (402).

სასჯელისგან, სიცოცხლისა და სიკვდილის ცდუნებისგან და ცრუ მესია დაჯჯალის ცდუნებისგან)/ ალლაჰუმმა ინნიი ა'უზუ ბიქა მინ 'აზაბი ჯაჰანნამ, ვამინ 'აზაბილ-ყაბრ, ვამინ ფითნათილ-მაჰიაა ვალ-მამაათ, ვამინ შარრი ფითნათილ-მასიჰიდ-დაჯჯალ/»[1]

შემდეგ მლოცველი ამბობს იმ დუას, რაც სურს ამ ქვეყნისა და საიქიოს სიკეთეებიდან. თუ დალოცავს თავის მშობლებს ან სხვა მუსლიმებს — პრობლემა არ არის, იქნება ეს ლოცვა სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი, რადგან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზოგადი ნათქვამიდან აბდულლაჰ იბნ მასუდის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისში, როცა ასწავლიდა მას თაშაჰჰუდს, ამბობს:

(ثُمَّ لِيَتَخَيَّرْ مِنَ الدُّعَاءِ بَعْدُ أَعْجَبَهُ إِلَيْهِ فَيَدْعُو).

«შემდეგ ირჩევს იმ ვედრებას, რომელიც მოსწონს და მოუხმობს მისით».[2] სხვა გადმოცემაში ნათქვამია:

---

[1] გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ, ჰადისი ნომრით (1311) და მუსლიმის მიერ, ნომრით (588).

[2] გადმოცემს ან-ნასაი ნომრით: (1298).

(ثُمَّ لِيَخْتَرْ مِنَ الْمَسْأَلَةِ مَا شَاءَ).

«შემდეგ აირჩიოს და სთხოვოს ალლაჰს ის, რაც სურს».[1]

და ეს მოიცავს ყველაფერს, რაც მონას არგებს ამ ქვეყანაშიც და საიქიოშიც. შემდეგ მლოცველი ასრულებს ლოცვას სალამით მარჯვნივ და მარცხნივ, ასე რომ ამბობს: ასსალამუ ‘ალაიქუმ ვა რაჰმათულლაჰ, ასსალამუ ‘ალაიქუმ ვა რაჰმათულლაჰ.

14- თუ ლოცვა სამ-რაქათიანია, როგორიცაა მაღრიბი, ან ოთხ-რაქათიანია, როგორიცაა ზუჰრი, ასრი და ‘იშა, მლოცველი კითხულობს ზემოთ ხსენებულ თაშაჰჰუდს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სალავათთან ერთად, შემდეგ დგება ფეხზე, დაყრდნობით მუხლებზე და ხელებს წევს მხრების ან ყურების დონემდე, თან ამბობს: „ალლაჰუ აქბარ, შემდეგ ხელებს დებს მკერდზე, როგორც წინა შემთხვევაში, და კითხულობს მხოლოდ სურა ალ-ფაათიჰას. ზუჰრის ლოცვის

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (402).

მესამე და მეოთხე რაქათში ხანდახან დაამატებს რაიმე სხვა აიებს ან სურას პრობლემა არ არის, რადგან ამის მტკიცებულება გადმოცემულია აბუ საიდიდან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), თუ მლოცველმა თაშაჰჰუდის დროს არ წაიკითხა სალავათი მოციქულზე (ალლაჰის ლოცვა დაა მშვიდობა მას) ესეც დასაშვებია, რადგან ეს სუნნაა და არა სავალდებულო პირველ თაშაჰჰუდში. შემდეგ მლოცველი კითხულობს თაშაჰჰუდს მაღრიბის მესამე რაქათის შემდეგ, და ზუჰრის, ასრისა და იშას მეოთხე რაქათის შემდეგ, როგორც ორ-რაქათიანი ლოცვების დროს ხდებოდა. ბოლოს ასრულებს ლოცვას სალამით მარჯვენა და მარცხენა მხარეს, შემდეგ სამჯერ ამბობს: ასთაღფირულლაჰ (ო, ალლაჰ პატიებას ვითხოვ შენგან) და შემდეგ ამბობს:

(اللَّهُمَّ أَنْتَ السَّلَامُ وَمِنْكَ السَّلَامُ، تَبَارَكْتَ يا ذَا الجَلَالِ وَالإِكْرَامِ).

«ალლაჰუმმა ანთა სალაამ, ვა მინქა სსალაამ, თაბაარაქთა ია ზალ ჯალაალი ვალ იქრაამ».[1]

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (591).

სანამ მლოცველი ხალხისკენ მიბრუნდება თუ ის იმამია ამბობს:

(لَا إِلَهَ إِلَّا الله وحْدَهُ لا شَرِيكَ لَه، لَهُ المُلْكُ، ولَهُ الحَمْدُ، وَهُوَ عَلَى كُلِّ شيءٍ قَدِيرٌ، لَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بالله، اللَّهُمَّ لَا مَانِعَ لِمَا أَعْطَيْتَ، ولَا مُعْطِيَ لِمَا مَنَعْتَ، وَلَا يَنْفَعُ ذَا الجَدِّ مِنْكَ الجَدُّ، لَا إِلَهَ إِلَّا الله، وَلَا نَعْبُدُ إِلَّا إِيَّاهُ، لَهُ النِّعْمَةُ وَلَهُ الفَضْلُ، وَلَهُ الثَّنَاءُ الحَسَنُ، لَا إِلَهَ إِلَّا الله مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ وَلَو كَرِهَ الكَافِرُونَ).

«არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, იგი ერთადერთია, არ ჰყავს მას თანამოზიარე. მას ეკუთვნის მეფობა და ქება, და ის ყოვლისშემძლეა ყოველივეზე. არ არსებობს ძალა და ძალაუფლება, გარდა ალლაჰის მიერ მიცემულისა.

ო ალლაჰ, არავინაა, ვინც შეაჩერებს იმას, რასაც შენ მისცემ და არავინაა, ვისაც მისცემ იმას, რასაც შენ შეაკავებ. ვერანაირი დიდება და ძალაუფლება ვერ გამოადგება მის მფლობელს შენს წინაშე. არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, და ჩვენ არ ვეთაყვანებით სხვას, გარდა მისი. მას ეკუთვნის წყალობა, სიკეთე და მას ეკუთვნის მშვენიერი ქება. არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა, ჩვენ გულწრფელები ვართ მის რელიგიაში, თუნდაც ურწმუნოებს ეს არ სიამოვნებდეთ) /ლა ილააჰა ილლაალლაჰ, ვაჰდაჰუ ლა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ-მულქ,

ვალაჰულ-ჰამდ, ვა ჰუა ʻალაა ქულლი შაიʼინ ყადირ, ლა ჰაულა ვალა ყუვვათა ილლა ბილლაჰ, ალლაჰუმმა ლა მაანიუ ლიმა აუʻტაითა, ვალა მუʻტია ლიმა მანაათა, ვალა იანფაʻუ ზალ-ჯადდი მინქალ-ჯადდ, ლა ილააჰა ილლაალლაჰ, ვალა ნაʼბუდუ ილლაა იააჰ, ლაჰუ ნნიʻმათუ, ვალაჰულ-ფადლ, ვალაჰუს-სანააუ ალ-ჰასან, ლა ილააჰა ილლაალლაჰ, მუხლისიინა ლაჰუდ-დიინ, ვალავ ქარიჰალ-ქააფირუუნ)».[1]

შემდეგ ამბობს: სუბჰანალლაჰ — 33-ჯერ, ალჰამდულილლაჰ — 33-ჯერ, ალლაჰუ აქბარ — 33-ჯერ, და ასრულებს 100-ს ამ სიტყვით: ლაა ილააჰა ილლაა ალლაჰუ ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ-მულქუ ვა ლაჰულ-ჰამდუ, ვა ჰუვა ʻალაა ქულლი შაიʼინ ყადირ/ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, იგი ერთადერთია, არ ჰყავს მას თანამოზიარე, მას ეკუთვნის მეფობა და ქება, და ის არის ყოვლისშემძლე, შემდეგ კითხულობს: აიათ ალ-ქურსი (სურა ალ-ბაყარა, აია 255), ყულ ჰუვა ალლაჰუ აჰად (სურა

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (402).

ალ-იხლას), ყულ აუ'უ ბირაბბილ-ფალაყ (სურა ალ-ფალაყ), ყულ აუ'უ ბირაბბინ-ნას“ (სურა ან-ნას) — ყოველი ლოცვის შემდეგ. რეკომენდებულია ამ სამ სურას სამჯერ წაკითხვა ფაჯრისა და მაღრიბის ლოცვების შემდეგ, რადგან ამის შესახებ გადმოცემულია მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადისები. ეს ზიქრები და დუები სუნნაა და არა სავალდებულო.

შარიათით დადგენილია თითოეული მუსლიმი მამაკაცისა და ქალისთვის, რომ აღავლინოს ნაფილე/ნებაყოფლობითი ლოცვები ზუჰრის ლოცვამდე ოთხი რაქათი, და მის შემდეგ ორი რაქათი, მაღრიბის შემდეგ ორი რაქათი, იშას შემდეგ ორი რაქათი და ფაჯრის ლოცვამდე ორი რაქათი. ჯამში ეს არის თორმეტი რაქათი, და ამ რაქათებს ეწოდება არ-რავათიბი (დადგენილი ნაფილები), რადგან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მუდმივად ასრულებდა მათ ადგილზე ყოფნისას (არა მოგზაურობის დროს). რაც

შეეხება მოგზაურობას მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მათ (დადგენილ ნაფილებს) ტოვებდა, გარდა ფაჯრის სუნნასა და ვითრის ლოცვისა, რადგან ამ ორ ლოცვაზე ის ყოველთვის ზრუნავდა ყოფნაშიც და მოგზაურობაშიც. უპირატესობა ენიჭება, რომ ეს დადგენილი და ვითრის ლოცვა შესრულდეს სახლში. თუმცა, თუ ვინმე მათ მეჩეთში აღასრულებს პრობლემური არ არის, მოციქულის თქმით (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

(أَفْضَلُ صَلَاةِ المَرْءِ فِي بَيْتِهِ، إِلَّا الصَّلَاةَ المَكْتُوبَةَ).

«ადამიანის ლოცვებიდან საუკეთესო არის ის, რომელსაც იგი სახლში ასრულებს, გარდა სავალდებულო ლოცვებისა».[1]

ამ რაქათებზე ზრუნვა (მუდმივად აღსრულება) არის სამოთხეში შესვლის მიზეზთაგანი, მოციქულის თქმით (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

(مَنْ صَلَّى اثْنَتَيْ عَشْرَةَ رَكْعَةً فِي يَومٍ وَلَيْلَةٍ، بُنِيَ لَه بِهِنَّ بَيْتٌ فِي الجَنَّةِ).

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ ნომრით (6860).

«ვინც დღისა და ღამის განმავლობაში თორმეტ რააქათს იღოცებს, ალლაჰი ამ რაქათების სანაცვლოდ აუშენებს მას სახლს სამოთხეში».[1]

თუ მლოცველი ასრულებს ოთხ რაქათს ასრის ლოცვამდე, ორ რაქათს მაღრიბის ლოცვამდე, და ორ რაქათს იშას ლოცვამდე — ეს კარგია, რადგან მტკიცედ არის გადმოცემული მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რაც ამას მიუთითებს. ასევე, თუ მლოცველი ასრულებს ოთხ რაქათს ზუჰრის ლოცვის შემდეგ და ოთხს მისამდე ესეც კარგია, მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებიდან:

(مَنْ حَافَظَ عَلَى أَرْبَعِ رَكَعَاتٍ قَبْلَ الظُّهْرِ، وَأَرْبَعٍ بَعْدَهَا حَرَّمَهُ اللهُ عَلَى النَّارِ).

«ვინც ზუჰრის ლოცვამდე ოთხ რაქათს და ზუჰრის ლოცვის შემდეგ კიდევ ოთხ რაქათს დაიცავს, ალლაჰი მას ჯოჯოხეთის ცეცხლს აუკრძალავს».[2] და მნიშვნელობა ისაა, რომ მლოცველი ზუჰრის ლოცვის შემდეგ ორ რაქათს

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით (728).

[2] გადმოცემულია აჰმადის მიერ, ნომრით (25547), ათ-თირმიზის მიერ ნომრით (393) და აბუ დაუდის მიერ ნომრით (1077).

ამატებს დადგენილ სუნნაზე, რადგან დადგენილი სუნნაა ოთხი რაქათი ზუჰრამდე და ორი რაქათი მას შემდეგ. თუ მლოცველი ზუჰრის შემდეგ ორ რაქათს დაამატებს, მიიღებს იმას, რაც გადმოცემულია უმმ ჰაბიბას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისში.

ალლაჰი არის წარმატების მიმნიჭებელი, ალლაჰის მშვიდობა და ლოცვა იყოს ჩვენს მოციქულ მუჰამმად იბნ აბდულლაჰზე, მის ოჯახზე, მის საჰაბებზე და მათ მიმდევრებზე სიკეთით, განკითხვის დღემდე.

***

حرمين

رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

رسالة الحرمين

Message of The Two Holy Mosques

Guidance content for the visitors of the Holy Mosque and the Prophet's Mosque in languages.

978-603-8591-94-9